

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 1

07.02.2019 წ.

2019 წლის 7 თებერვალს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს გაფართოებული
სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 151 წევრი და დარგის მოწვეული
სპეციალისტები.

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დღის წესრიგი

1. სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის 2017-2018
სასწავლო წლის ანგარიში - მომხსენებელი, პროფესორი დავით გურგენიძე;
2. 2005 წელს კურსდამთავრებულთა მიერ საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის
დაზუსტების შესახებ - მომხსენებელი, პროფესორი იური ქადარია;
3. სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიში
თვითშეფასების შესახებ - მომხსენებელი, პროფესორი ნუგზარ მურღულია;
4. მიმდინარე საკითხები;

მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის
ინფორმაცია პროფესორ როინ იმედაძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის
ტექნიკური ექსპერტიზის №101 დეპარტამენტის პროფესორს, საქართველოს
დამსახურებულ მშენებელს, ღირსების ორდენის კავალერს როინ იმედაძეს შეუსრულდა
დაბადებიდან 80 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭოს
გადაწყვეტილებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და
ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობისათვის, სტუდენტი-ახალგაზრდობის
აღზრდაში გაწეული პირადი დიდი ღვაწლისათვის ბატონი როინი დაჯილდოვდეს
საპატიო სიგელით და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს ფულადი ჯილდო ერთი თვის
ხელფასის ოდენობით.

დაადგინეს: პროფესორ როინ იმედაძე დაჯილდოვდეს საპატიო სიგელით და
ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს ფულადი ჯილდო ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია პროფესორ ლევან კლიმიაშვილის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, პროფესორ ლევან კლიმიაშვილს შეუსრულდა დაბადებიდან 70 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის, სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული პირადი დიდი ღვაწლისათვის, ბატონი ლევანი დაჯილდოვდეს საპატიო სიგელით და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს ფულადი ჯილდო ვიცე-რექტორის ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დაადგინეს: პროფესორ ლევან კლიმიაშვილი დაჯილდოვდეს საპატიო სიგელით და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს ფულადი ჯილდო ვიცე-რექტორის ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

1. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის მოხსენება 2017-2018 სასწავლო წლის ანგარიშის შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

2. მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილის პროფესორ იური ქადარიას მოხსენება 2005 წლის კურსდამთავრებული ვალერი გახარიას მიერ გავლილი საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი კრედიტების დაზუსტების შესახებ.

ბატონმა იური ქადარიამ საბჭოს მოახსენა, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე 4 წლიან საბაკალავრო პროგრამაზე მიღება პირველად 2001-2002 სასწავლო წელს განხორციელდა. შესაბამისად იმ წელს მიღებულმა სტუდენტთა კონტინგენტმა 2005 წელს დაასრულა საბაკალავრო პროგრამა. იმ დროისათვის სტუ-ში მოქმედებდა ე.წ. მანჩესტერის საკრედიტო სისტემა. საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენდა 480 UK კრედიტს. თუმცა 2005 წელს სადიპლომო გეგმარების (30 კრედიტი) გაუქმების გამო ამ წლებში შესაბამისი კვალიფიკაცია მიენიჭათ სტუდენტებს, რომლებსაც ათვისებული ჰქონდათ 450 კრედიტი. ამ კონტინგენტის ბაკალავრებზე გაიცა შესაბამისი დიპლომები.

როგორც ცნობილია, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა მთლიანად გადავიდა კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ ECTS სისტემაზე. სტუ-ში მოქმედი წესებით, თითოეულ UK კრედიტს უტოლდება 0.5 ECTS კრედიტი. ამან გამოიწვია ის, რომ იმ ბაკალავრებს, რომლებსაც ხარისხი მიენიჭებული აქვთ 450 კრედიტის ათვისების შედეგად, დღევანდელ პერიოდში დიპლომის დანართის აღების დროს ექმნებათ პრობლემა, რომელიც მდგომარეობს 450 UK კრედიტის და 240 ECTS კრედიტის შეუსაბამობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლის კურსდამთავრებულთა მიერ გავლილი საგნების ჩამონთვალში არის გარკვეული აკადემიური აქტივობები სხვადასხვა სასწავლო პრაქტიკის სახით (მაგალითად, გეოდეზიის საველე პრაქტიკა, სასწავლო-გაცნობითი, საწარმოო-ტექნოლოგიური და წინასდისპლომო პრაქტიკები), რომლებშიც სტუდენტებს მიღებული აქვთ დადებითი შეფასებები. აღნიშნული დატვირთვა კრედიტებში არაა ასახული.

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ გეოდეზიის საველე პრაქტიკა ტარდებოდა საველე პირობებში 2 კვირის განმავლობაში, ხოლო მიღებული შედეგების კამერალური დამუშავება კი ხდებოდა შემდგომი 1 კვირის -10 დღის განმავლობაში, რაც თავისი მოცულობით შეადგენს არანაკლებ 10 UK კრედიტს. ასეთივე მოცულობითაა წარმოდგენილი სასწავლო-გაცნობითი და საწარმოო-ტექნოლოგიური პრაქტიკები ან სხვა პრაქტიკა, რომლებშიც მიღებული აქვთ დადებითი შეფასება. ამის გათვალისწინებით აღდგება რეალობა და სტუდენტების მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობა იქნება არანაკლებ 480 UK კრედიტისა. ამით აღმოიფხვრება ზემოთ მითითებული შეუსაბამობა.

აზრი გამოთქვას: 1. პროფესორებმა: რ. იმედაძე, გ. ჭოხონელიძემ.

დაადგინეს:

1. ვალერი გახარიას, რომელმაც 2005 წელს დაამთავრა სამშენებლო ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის“ სპეციალობით, გეოდეზიის საველე პრაქტიკა, სასწავლო-გაცნობითი, საწარმოო-ტექნოლოგიური და წინასდისპლომო პრაქტიკის აქტივობები ჩაეთვალოს 30 UK კრედიტის მოცულობით.
2. ეთხოვოს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს აღნიშნული წინადადების განხილვა.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

3. მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილის პროფესორ ნუგზარ მურდულიას მოხსენება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის 2018 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის თვითშეფასების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამშენებლო ფაკულტეტის ყველა რესურსი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსავითარებლად.

ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა: 55 პროფესორი, 54 ასოც. პროფესორი, 24 ასისტ. პროფესორი, 10 ასისტენტი, 19 მოწვეული პროფესორი, მასწავლებელი 11.

სამშენებლო ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მიმდინარეობს შემდეგი თემატიკის მიხედვით:

- 1) სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა;
- 2) გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები;
- 3) მშენებლობის ტექნოლოგია;
- 4) კომპიუტერული პროექტირება მშენებლობაში ;
- 5) წყალმომარაგება და წყალარინება;
- 6) ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა;
- 7) სამდინარო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა;
- 8) საზღვაო ნაგებობების მშენებლობა;
- 9) ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა;
- 10) რკინიგზის მშენებლობა;
- 11) ნაგებობათა გამოცდა და ტექნიკური ექსპერტიზა;
- 12) საშენი მასალები;
- 13) თბოაირმომარაგება და ვენტილაცია;
- 14) საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
- 15) სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგი მშენებლობა;
- 16) გაზმომარაგების სისტემების მშენებლობა და ექსპლუატაცია ;
- 17) სამხედრო ინჟინერია;
- 18) მშენებლობის ეკონომიკა და მენეჯმენტი.

მომხსენებელმა წარმოადგინა ფაკულტეტის ლაბორატორიული და სხვა მატერიალური უზრუნველყოფის სურათი, ასევე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი ბეჭდური პროდუქციის ცხრილი.

ანგარიშში წარმოდგენილია სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია. ანგარიშში ცალკეა წარმოდგენილი ფაკულტეტის №105 დეპარტამენტის - „წყალმომარაგების, წყალარინების, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის“ მნიშვნელოვანი აქტივობები.

აზრი გამოთქვას პროფესორებმა: დავით გურგენიძემ, ტარიელ კვიციანმა, თამაზ ხმელიძემ და დარგის მოწვეულმა სპეციალისტებმა: პროფესორებმა მერაბ ნიკოლაიშვილმა და ნოდარ მემმარიაშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი

სამუშაოების გააქტიურების შესახებ. აღინიშნა აგრეთვე, რომ სამუშაოები მაღალი ხარისხითაა შესრულებული. მათ მიერ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საჭიროა სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების კიდევ უფრო გააქტიურება და ქვეყნისათვის საჭირო თემატიკაში უფრო აქტიურად ჩაბმა.

დაადგინეს: პროფესორ ნუგზარ მურდულიას მოხსენება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის 2018 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის თვითშეფასების მასალები პასუხობენ წაყენებულ მოთხოვნებს, სტანდარტებს და შეფასდეს დადებითად.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

4. მიმდინარე საკითხებში მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურემიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ:

1. სამშენებლო ფაკულტეტის საინჟინრო მექანიკისა და სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის №101 დეპარტამენტის პროფესორს იოსებ კაკუტაშვილს გარდაეცვალა დედა.

2. სამშენებლო ფაკულტეტის საინჟინრო მექანიკისა და სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის №101 დეპარტამენტის უფროს სპეციალისტს ნინო გელაძეს ჯანმრთელობის გაუარესების გამო ესაჭიროება მვირადღირებული გამოკვლევები.

დაადგინეს:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ მუხლიდან სამშენებლო ფაკულტეტის საინჟინრო მექანიკისა და სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის №101 დეპარტამენტის პროფესორს იოსებ კაკუტაშვილს დახმარება გაეწიოს - ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

2. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ მუხლიდან სამშენებლო ფაკულტეტის საინჟინრო მექანიკისა და სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის №101 დეპარტამენტის უფროს სპეციალისტს ნინო გელაძეს დახმარება გაეწიოს - ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე /